ცვლილები და დამატებები მოძრავი და ფიქსირებული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის

შპს „მაგთიკომის“

ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების შეთავაზების წინადადებაში (მოწვევის ოფერტა)

2010 წლის 1 აგვისტო ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების შეთავაზების წინადადებაში (მოწვევის ოფერტა) შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება:

1) მე–11 მუხლის ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

11. თანალოკაციის ფართით სარგებლობის პირობები

თანალოკაციის ფართით სარგებლობის შესახებ „მაგთიკომსა“ და მსურველ ავტორიზებულ პირს შორის ფორმდება ხელშეკრულება. ავტორიზებული პირისათვის თანალოკაციის ფართის გამოყოფის საფუძველია მოქმედი ურთიერთჩართვის ხელშეკრულება და ტერმინალის განთავსების ორმხრივად შეთანხმებული სქემა. აპარატურის განთავსების, აგრეთვე აპარატურის მოხსნის შემთხვევაში მხარეთა შორის ფორმდება მიღება–ჩაბარების აქტი.

თანალოკაციის ფართზე ურთიერთჩართვის აპარატურის განთავსების პირობებია:
ა) ურთიერთჩართვისთვის გამოყენებული ტერმინალი (შიდა ბლოკი) უნდა თავსდებოდეს სტანდარტულ 19 დიუმიან დგარზე, ხოლო მისი სიმაღლე და სიგრძე არ უნდა აღემატებოდეს 40სმ–ს;
ბ) მოხმარებული ელექტროენერგიის სიმძლავრე არ უნდა აღემატებოდეს 150 ვტ–ს;
გ) „მაგთიკომი“ უზრუნველყოფს მუდმივი დენის გარანტირებულ ელექტროკვებას 48 ვოლტი ძაბვით, აგრეთვე სათანადო კონდიცირებას;

იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთჩართვის განხორციელებისთვის თანალოკაციის ფართის მსურველ ავტორიზებულ პირს ესაჭიროება რადიოსარელეო კავშირის ორგანიზება, მას „მაგთიკომის“ ანძებზე გამოეყოფა ფართი ანტენის დამონტაჟებისათვის, კერძოდ: ქ.ქუთაისში თანალოკაციის ფართის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულ ანძაზე არაუმეტეს 1,2 დიამეტრის პარაბოლური ანტენის, ხოლო ქ.ბათუმში, თანალოკაციის ფართის სახურავზე დამონტაჟებულ ანძაზე მცირე ზომის (არაუმეტეს 0,3–0,6მ დიამეტრის) პარაბოლური ანტენის განთავსებისთვის.

თანალოკაციის ფართზე დაშვების პირობები:

ა) თანალოკაციის ფართზე ავტორიზებული პირის წარმომადგენელი დაიშვება მხოლოდ „მაგთიკომთან“ შეთანხმებით და „მაგთიკომის“ წარმომადგენლის თანდასწრებით;
ბ) დაშვების ყოველი შემთხვევის შესახებ აღირიცხება სპეციალურ ჟურნალში, რომელშიც მიეთითება ავტორიზებული პირის წარმომადგენლის სახელი, გვარი, პირადობის მოწმობის ნომერი, წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის დასახელება და ნომერი, დაშვების მიზანი, შესრულებული სამუშაო. ჩანაწერი დასტურდება „მაგთიკომის“ წარმომადგენლისა და თანალოკაციის ფართზე დაშვებული პირის ხელმოწერით.

თანალოკაციის ფართით სარგებლობის, ელექტროენერგიით უზრუნველყოფის, კონდიცირების საფასური შეადგენს თვეში 150 (ას ორმოცდაათი) ლარს, დღგ–ს ჩათვლით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ქ.ქუთაისში არსებული თანალოკაციის ფართის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულ ან ქ.ბათუმში თანალოკაციის ფართის სახურავზე დამონტაჟებულ ანძებზე მსურველ ავტორიზებულ პირს ესაჭიროება ანტენის განთავსება, საფასური შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს დღგ–ს ჩათვლით.

23 აგვისტო 2010 წელი